ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის

საბჭოს სხდომის

ოქმი N9

23.08.2017

ფაკულტეტის საბჭოს დღის წესრიგი:

დღის წესრიგში წარმოდგენილია **3** ძირითადი საკითხი:

1. 2017 წლის კურსდამთავრებულთათვის კვალიფიკაციის მინიჭების საკითხი;
2. ლ. ხეჩუაშვილის სახელმძღვანელოს -"პიროვნება. შესავალი პიროვნების ფსიქოლოგიაში - გამოსაცემად თსუ-ის საგამომცემლო საბჭოსთან შუამდგომლობა;
3. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მსმენელის, ვიკა ვანიევის, მიერ პროგრამის შესრულების წარდგინება

სხდომას ესწრებოდნენ:

დეკანი: პროფ. თამარ გაგოშიძე

ფაკულტეტის საბჭოს წევრები :

<u>ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი:</u>

პროფესორი:

მზია წერეთელი,

ასოცირებული პროფესორები :

მანანა მელიქიშვილი, ხათუნა მარწყვიშვილი, ლუიზა არუთინოვი, გიორგი გოროშიძე, ვახტანგ ნადარეიშვილი, მაია მესტვირიშვილი, ირინე ჟვანია, ეკატერინე ფირცხალავა, ანი ქიტიაშვილი

ასისტენტ პროფესორები: თეონა ლოდია, ლილი ხეჩუაშვილი, ნინო ლაბარტყავა,

<u>განათლების მეცნიერებათა სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი:</u>

პროფესორი: ქეთევან ჭკუასელი;

ასოცირებული პროფესორი :

ზაქარია ქიტიაშვილი, რუსუდან სანაძე, იზაბელა პეტრიაშვილი.

სტუდენტები:

სალომე თოფურია

საბჭოს სხდომაში მონაწილეობდა სულ 19 წევრი

განიხილეს:

1. 2017 წლის კურსდამთავრებულთათვის კვალიფიკაციის მინიჭების საკითხი;

პროფესორმა თამარ გაგოშიძემ საბჭოს მოახსენა, რომ სასწავლო დეპარტამენტის მიერ საბჭოზე დასამტკიცებლად შემოტანილია 2017 წლის კურსდამთავრებულ ბაკალავრთა კვალიფიკაციის მინიჭებისათვის წარდგინება. დოკუმენტში წარმოდგენილია ფსიქოლოგიის მიმართულების

საბაკალავრო საფეხურის იმ სტუდენტთა სია, რომლებსაც გვიან დაუფიქსირდათ შეფასებები, შესაბამისად, წარდგინების მოთხოვნაც გვიან შემოვიდა.

საბჭოს დასამტკიცებლად წარედგინა ფსიქოლოგიის დარგის საბაკალავრო საფეხურის 3 კურსდამთავრებულის სია:

I. მიენიჭოთ **სოციალურ მეცნიერებების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ფსიქოლოგიაში** და მიეცეთ შესაბამისი დიპლომი 2016/2017 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის კურსდამთავრებულებს:

<u>სწავლების ძირითადი დარგი: ფსიქოლოგია</u>

დიპლომი წარჩინებით:

1. ბენდელიანი ლამზირა

დიპლომი ჩვეულებრივი:

1. სუბარი ანი
2. ტატანაშვილი ნინო

საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ საკითხს და მიიღო ერთხმად
მომხრე: 19
წინააღმდეგი:0
თავი შეიკავა:0

2. ლ. ხეჩუაშვილის სახელმძღვანელოს -"პიროვნება. შესავალი პიროვნების ფსიქოლოგიაში - გამოსაცემად თსუ-ის საგამომცემლო საბჭოსთან შუამდგომლობა;

პროფესორმა თამარ გაგოშიძემ საბჭოს მოახსენა, რომ აღნიშნული საკითხი ითვალისწინებს ფაკულტეტის საბჭოს მიერ ლ. ხეჩუაშვილის სახელმძღვანელოს -"პიროვნება. შესავალი პიროვნების ფსიქოლოგიაში - გამოსაცემად თსუ-ის საგამომცემლო საბჭოსთან შუამდგომლობას. საბჭოს წინაშე წარმოდგენილია სახელმძღვანელოს ორი დადებითი რეცენზია (პროფესორი დალი ფარჯანაძე, პროფესორი მარინა ჩიტაშვილი) და ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოს იმ სხდომის ოქმი, რომელზეც განხილულ იქნა სახელმძღვანელო, მიეცა მაღალი შეფასება და დადგინდა, გადაეცეს ფაკულტეტის საბჭოს დასამტკიცებლად და ცენტრალურ საგამომცემლო საბჭოსთან საშუამდგომლოდ.

საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ საკითხს და მიიღო ერთხმად
მომხრე: 19
წინააღმდეგი:0
თავი შეიკავა:0

3. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მსმენელის, ვიკა ვანიევის, მიერ პროგრამის შესრულების წარდგინება.

პროფესორმა თამარ გაგოშიძემ საბჭოს მოახსენა, რომ სასწავლო დეპარტამენტის მიერ საბჭოზე დასამტკიცებლად შემოტანილია ფაკულტეტზე მოქმედი მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მსმენელის, ვიკა ვანიევას, მიერ აღნიშნული პროგრამის დასრულების შესახებ წარდგინება. ამ შემთხვევაშიც მსმენელს გვიან დაუფიქსირდა შეფასებები, შესაბამისად, წარდგინების მოთხოვნაც გვიან შემოვიდა.

საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ საკითხს და მიიღო ერთხმად

მომხრე: 19
წინააღმდეგი:0
თავი შეიკავა:0

დაადგინეს:

1. დამტკიცდეს 2017 წლის კურსდამთავრებულ ბაკალავრთა: ბენდელიანი ლამზირა, სუბარი ანი, ტატანაშვილი ნინო, კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ წარდგინება წარმოდგენილი ფორმით.

2. დამტკიცდეს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული მსმენელის, ვიკა ვალიევის პროგრამის შესრულების შესახებ წარდგინება წარმოდგენილი ფორმით.

3. დამტკიცდეს ლ. ხეჩუაშვილის სახელმძღვანელო -"პიროვნება. შესავალი პიროვნების ფსიქოლოგიაში და გადაეგზავნოს გამოსაცემად თსუ-ის საგამომცემლო საბჭოს.

სხდომის თავმჯდომარე: პროფესორი
თამარ გაგოშიძე